„ჩვენი კონფერენციის წინ დელეგატებთან საუბრისას სპეციალისტები აღნიშნავდნენ ბავშვთა და განსაკუთრებით მოზარდების საერთო ფიზიკური განვითარების ერთგვარი გაუარესების ტენდენციას, ხაზგასმით თქვეს, რომ სტატისტიკის თანახმად ეს მაჩვენებელი თურმე ჩვენთან ჩამორჩება საშუალო საკავშიროს. რა თქმა უნდა, ამის მიზეზები არსებობს. ეს არის ეგრეთწოდებული „ოთახის ავადმყოფობა" — დროის დიდ რაოდენობას ვუთმობთ სწავლას, ტელევიზიას და კომფორტულ პირობებს, რაც იწვევს ახალგაზრდობის უმოძრაობას. მაშასადამე საჭიროა ამ მოვლენების რაღაცით კომპენსაცია. მასობრივი ტურიზმი და მიმზიდველი ლაშქრობები, ფიზკულტურა და სპორტი, მოძრაობა — აი, ჩვენი ორიენტირები!

ჩვენს ქალაქს დიდი ხნის სახელოვანი ტრადიციები, შესანიშნავი სპორტული ბიოგრაფია აქვს. უკვე რამდენიმე წელიწადია ქალაქის გარეუბნებსა და რამდენიმე სპორტულ ნაგებობაზე ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობენ სხვადასხვა ასაკის ენთუზიასტები. გაჩნდა საოჯახო შეჯიბრებების მონწყობის გამოცდილება. მოდით, განვავითაროთ ეს ფორმები, დაე, ჩვენი ქალაქის სპორტული ტრადიცია გახდეს მუშებისა და დირექტორების, მოზარდებისა და უფროსების, ბავშვებისა და მშობლების, შვილიშვილებისა და პაპების სპორტი, სპორტი ყველასათვის — დიდიდან პატარამდე. სპორტში უნდა მეცადინეობდეს, სპორტზე გული უნდა შესტკიოდეს ყველას: სპორტულ მოედნებზე, პარკებში, დასვენების ზონებში, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოგიწოდებთ, ამხანაგებო, მოვუწოდებთ ყველა თბილისელს მასობრივი სპორტისათვის ლაშქრობაში, ძალისათვის, ნებისყოფისათვის, ჯანმრთელობისათვის, ადამიანის სილამაზისათვის ლაშქრობაში!"

საქართველოს კომპარტიის თბილისის XXXVIII კონფერენციაზე პარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **თ. ნ. მენთეშაშვილის** მოხსენებიდან

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 249
(6810)
30
1980 წ.
დეკემბერი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ყოველკვირეულმა გამოშვება „ფუტბოლ-ჰოკეიმ", როგორც ეს წესად აქვს ყოველი წლის დასასრულს, მოაწყო სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელის კონკურსი. მასში მონაწილეობდნენ ჟურნალ-გაზეთების, პრესის სააგენტოების, რადიოსა და ტელევიზიის საფეხბურთო მიმომხილველები.

გუშინ მოვიდა ოფიციალური ცნობა 1980 წლის რეფერენდუმის შედეგებზე.

სპორტულმა ჟურნალისტებმა სსრ კავშირის 1980 წლის № 1 ფეხბურთელად მიიჩნიეს თბილისის „დინამოს" კაპიტანი, ცენტრალური მცველი ალექსანდრე ჩივაძე, რომელმაც 259 ქულა მიიღო.

მეორე ადგილზეა კიევის დინამოელი ოლეგ ბლოხინი — 187 ქულა.

მესამე ადგილი წილად ხვდა მოსკოვის „სპარტაკის" მოთამაშეს ვაგიზ ხიდიატულინს — 103.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი უკვე მესამედ გადის სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად. 1977 წელს ეს იყო **დავით ყიფიანი**, ხოლო 1978 წელს — **რამაზ შენგელია.**

● თხილამურები

სეზონის გახსნის პრიზზე

უჩვეულო იყო წლევანდელი ზამთრის სპორტული სეზონის გახსნა ბაკურიანში, სადაც გაიმართა ტრადიციული შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე. საქმე ისაა, რომ ეს მთიანი დაბა შეჯიბრების მონაწილეებს ამჯერად თოვლის თხელი საფარით შეეგება.

პირველ დღეს სტარტი მიეცა სლალომისტი ქალების ასპარეზობას. კოხტა-I-ზე 21 სპორტსმენს შორის საუკეთესოდ გამოვიდა ქეთევან ბოკერია, რომელმაც ორი ცდის ჯამში აჩვენა 1 წუთი და 20,61 წამი. მეორე ადგილზეა ეკა ხვედელიძე — 1.26,91, მესამეზე —ელენე მამულაშვილი — 1.29,05. სამივე სპორტსმენი განათლების სამინისტროს გუნდიდანაა.

ვაჟებში თავი ისახელა ანზორ კოზანაშვილმა („შრომითი რეზერვები") — 62,89. მომდევნო ადგილებზე არიან თემურ ხუციშვილი („სპარტაკი") — 63,78 და ანდრო მიქაბერიძე („დინამო") — 66,92.

გიგანტური სლალომის ტრასაზე 70 სპორტსმენი გამოვიდა. ქალებში ყველას კვლავ ქეთევან ბოკერიამ აჯობა — 93,06. მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ნატო გეგეჩკაძე — 96,0 და თამარ რაზმაძე — 97,08 (ყველა — განათლების სამინისტრო).

უძლიერესი არც ვაჟთა შორის შეცვლილა. ანზორ კოზანაშვილი კვლავ პირველი იყო შედეგით 86,92. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ გია დიაკონაშვილი („დინამო") — 87,15 და არჩილ კოზანაშვილი („კოლმეურნე") — 87,44.

40-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესი იყო ს. ხუბაევი („კოლმეურნე"). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გ. დიაკონაშვილი და ე. ბაკაევი (ორივე — „დინამო"). გუნდურ ჩათვლაში „კოლმეურნეს" სპორტსმენებმა გაიმარჯვეს.

სამწუხაროდ, რბოლის ტრასაზე გამოვიდა მხოლოდ ერთი გუნდი — „კოლმეურნე". მისი 10 წევრი ერთმანეთს პირველობას 12 და 15-კილომეტრიან ტრასებზე ეცილებოდა. პირველ დისტანციაზე უძლიერესი იყო ახალქალაქელი სერგეი კოსიანი, ხოლო მეორეზე — ბაკურიანელი ბაგრატ ხაჩატურიანი.

ა. ზენკო.

(„ლელოს" კორ.).

ჯერჯერობით მესამე ადგილზე

ბრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. ასპარეზობის მორიგი, IV ტური გაიმართა დაბა ტამტაგოლში (კემეროვოს ოლქი). კვლავ კარგად იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონმა ვიქტორ სანაკოევმა („კოლმეურნე"), რომელიც სპეციალურ სლალომში III ადგილზე გავიდა. გია ორჯონიკიძემ („შრომითი რეზერვები") და სტეფანე მიქაბერიძემ (ასკ) გიგანტური სლალომის ტრასაზე შესაბამისად VIII და X შედეგები აჩვენეს.

განვლილი ოთხი ტურის შემდეგ საქართველოს გუნდი ასპარეზობაში მონაწილე 16 კოლექტივს შორის მესამე ადგილზეა. მას უსწრებენ მხოლოდ ყაზახეთისა და ბელორუსიის გუნდები. ქალთა შორის ლიდერობს რესპუბლიკის ჩემპიონი მერი კოზანაშვილი („კოლმეურნე").

მომდევნო V ტური გაიმართება იანვარში დაბა სლავსკოეში (უკრაინა).

(„ლელოს" კორ.).

● კალათბურთი

დაუმარცხებლად!

პარიზის საახალწლო საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გამარჯვებით აღინიშნა. როგორც ცნობილია, შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენმა გუნდმა ანგარიშით 103:101 (57:50) დაამარცხა ბრაზილიის ნაკრები, მომდევნო ტურში კი მასპინძელს — საფრანგეთის კოლექტივს შეხვდა. მატჩის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ბოლო წუთებში ფრანგები დაწინაურდნენ და ტაიმიც მოიგეს — 51:50. მასპინძლები, რომლებსაც პიერ დე კუბერტენის სახელობის დარბაზში შეკრებილი 3 ათასზე მეტი მაყურებელი უჭერდა მხარს, 29-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ მინიმალურ უპირატესობას, მაგრამ, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, დაიღალნენ და ბოლოს ინიციატივა მთლიანად მეტოქეს დაუთმეს. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა (95:80), რომელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ა. სალნიკოვი — 26 ქულა.

— ჩვენ ძირითადად სუსტი ფიზიკური მომზადების გამო წავაგეთ, — განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა პ. დაომ. — მაგრამ ამან დიდად არ უნდა დაგვაღონოს —ჩვენ ხომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან ვთამაშობდით.

მეორე ტურში ბრაზილიელებმა მოუგეს ფინეთის ნაკრებს —92:87.

საბჭოთა კალათბურთელებმა ასპარეზობის ბოლო დღეს შედარებით იოლად დაამარცხეს ფინელები (106:86) და I ადგილი დაიკავეს. II ადგილზე ბრაზილიის ნაკრები გავიდა, რომელმაც დამატებით დროში სძლია საფრანგეთის გუნდს — 114:111.

ჰკითხეთ გულშემატკივარს

გულახდილი დიალოგი საბჭოთა კავშირის № 1 ფეხბურთელთან

ნარკვევი? რა თქმა უნდა, თანახმა ხარ. შენი პროფესიის კაცისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩვევაა. მაგრამ ყოველი ამგვარი „ხელშეკრულების დადების" შემდეგ შეუძლებელია არ დაფიქრდე: რა იცი იმ ადამიანზე, რა უნდა თქვა? იცი კი რამე? ნარკვევი მარტო ის ხომ არ არის, რაც ჩანს... ესეც არ იყოს, მარტო საკუთარი თავის შესაცნობად ხშირად მთელი ცხოვრებაც არ კმარა, როგორღა გინდა სხვისას ჩასწვდე, თან დანარჩენებისთვისაც საცნაური გახადო?

მხოლოდ საკუთარი მოსაზრებები და ინტუიცია ალბათ არ გამოგადგება, იმასაც ხომ ვერ დაწერ, უშენოდაც რომ მშვენივრად იცის ყველამ. ისევ ათას მკიბმოკიბულ შეკითხვას იგონებ, იქნებ რამე გამოჩხრიკო, იქნებ როგორმე მოაბა თავი ფაქტიურად უცნობი ადამიანის პორტრეტს.

ფეხბურთელია. ცნობილი. გულშემატკივარს უყვარს, პატივს სცემს. უყვართ თანაგუნდელებსაც. ტანმაღალია, სასიამოვნო გარეგნობა აქვს.

ასჯერ მაინც გინახავს, მინდორზეც, ქუჩაშიც. შეიძლება საათობითაც გილაპარაკია მასზე, ტელეფონში კი სავსებით უცნობი კაცის ხმა გელაპარაკება:

— დღეს? დღეს ალბათ ვერ მოვახერხებ.

ამგვარ პასუხში სასიამოვნო ბევრი არაფერია, მაგრამ რაღაც გკარნახობს, რომ ყურმილში გაგონილი სამიოდ სიტყვა ის ტაქტიანი ფრაზა არ არის, მინიშნებით უარს რომ გულისხმობს.

— ხვალ?

— ხვალ... — ყურმილი ერთხანს დუმს. — ხვალ... პლეხანოვის 65, ჯემალი იკითხეთ, ზუსტად 12 საათზე იქ ვიქნები.

დასაწყისისთვის არა უშავს რა, ფიქრობ, და იმაზე გეღიმება, რომ რაღაცით სათავგადასავლო მოთხრობის სიტუაციას წააგავს შენი სახვალიო პაემანი.

• • •

—ინტერვიუსთვის საკმაოდ უცნაური ადგილია, არა?

— უცნაურიც და სასიამოვნოც.

...ასე დაიწყო ჩვენი საუბარი.

პლეხანოვის 65 სახელოსნო გამოდგა, ჯემალი კი მის ერთ პატარა ოთახში მოთავსებული სამუსიკო სტუდიის ავან-ჩავანი. ჩემი თანამოსაუბრე ალექსანდრე ჩივაძეა, თბილისის „დინამოს" კაპიტანი და საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი. ასეთი კაცი სასურველი სტუმარია ყველგან და ჩვენი მასპინძელიც, თუმცა, საკმაოდ შევავიწროვეთ, უკმაყოფილო არ უნდა იყოს.

— ჯემალ, ხელს ხომ არ გიშლით?

— არა, რას ამბობ. საშა, თქვენ ისაუბრეთ. აი, მუსიკასაც ჩაგირთავთ, არ მოიწყენთ.

— მთელ „დინამოს" გვამარაგებს მუსიკით. — ამას უკვე მე მეუბნება ჩივაძე. — შარშან მირჩიეს ბიჭებმა უკეთეს ოსტატს მთელ თბილისში ვერ იპოვიო.

„უვერტიურა" დასრულდა და ახლა ძირითადი თემის დამუშავებისთვის უნდა ვიზრუნო.

— მაინც რა არის ფეხბურთი, რას ნატულობთ ამ თამაშში, რას ითხოვს და რას გიბრუნებთ სანაცვლოდ.

— სხვა მსგავსი თამაში ადამიანს ჯერ არ გამოუგონებია და არა მგონია, მომავალში გამოიგონოს. ფეხბურთში ყველაფერია — სისწრაფე, პლასტიკა, აზარტი, სილამაზე, ბრძოლა, აზრი, სანახაობა... ერთნაირად მომხიბვლელი მოთამაშისთვისაც და მაყურებლისთვისაც. თუ ჭეშმარიტი ფეხბურთელი ხარ, მისთვის ყველაფერი უნდა გაიღო. ჩვენი სპორტული კარიერა არც ისე ხანგრძლივია — სულ რაღაც 10-12 წელიწადი — და იმ უდიდესი სიამოვნების, ათასგვარი ემოციების, სიხარულისა თუ ტკივილის, მოკლედ, ყველაფერ იმის საფასურად, რასაც ფეხბურთი იძლევა, ნამდვილად ღირს ბევრი რამის გაღება.

„სულ რაღაც ათი-თორმეტი წელიწადი". ამ სიტყვებს ჩუმი სევდაც მოსდევს თან. დაილევა ეს არც თუ ხანგრძლივი დრო და ყველაფერი ის, რითაც ცხოვრობდი, რითაც ცოცხლობდი, რაც უპირველესი და უმთავრესი იყო, გინდა თუ არ გინდა, გვერდზე უნდა გადადო, ცალკე. ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს დაცარიელდი. უკეთეს შემთხვევაში გრჩება მოგონება და სახელი, დროდადრო სასიამოვნოდ რომ უღიტინებს პატივმოყვარეობას... პასუხი კი მაინც ერთია: „მისთვის ყველაფერი უნდა გაიღო".

— როგორ გესახებათ მაღალი კლასის ფეხბურთელი, გუნდი?

— კარგი ფეხბურთელი საკმაოდაა, მაგრამ ეს ცოტას ნიშნავს. ინტელექტის გარეშე ჭეშმარიტი ფეხბურთელი წარმოუდგენელია. მე ამ ერთ სიტყვაში თვისებათა მთელ რიგს ვგულისხმობ—შრომისმოყვარეობას, შინაგან კულტურას, ადამიანებთან ურთიერთობის უნარს. უამისოდ ხანდახან შეიძლება კარგადაც ითამაშო, მაგრამ საჭირო დროს, გადამწყვეტ მომენტში უთუოდ ხელი მოგეცრება. უბრალოდ, ვერ მოახერხებ იმის ჩვენებას, რისი შესაძლებლობაც გაქვს, ვერ მოახერხებ, ვინაიდან ინტელექტი მიზანს, ამ მიზნისთვის მობილიზებას და შეუპოვრად ბრძოლას გულისხმობს. საერთაშორისო კლასის გუნდი ამგვარი ფეხბურთელებით უნდა იყოს დაკომპლექტებული, თუმცა, სხვა პირობებიც არის: პირველ ყოვლისა ამ დონეზე თამაში, პრაქტიკაა საჭირო. შემდეგ მწვრთნელი. მას დიდი მისია აკისრია. მწვრთნელმა ჯერ მიზანი უნდა დაუსახოს მთელ გუნდს, მერე კი თითოეული ფეხბურთელი დააჯეროს, დაარწმუნოს, რომ ისინი სწორ გზაზე დგანან. მაშინ ყველაფერი მოვა— გამარჯვებებიც, სახელიც. სამაგალითოდ „ლივერპულს" დავასახელებდი. გუნდი თბილისში 0:3-ს აგებდა, ფეხბურთელები კი ისევ ისე ჩუმად, უსიტყვოდ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. ამაში ვხედავ პროფესიის სიყვარულსაც და საქმის ცოდნასაც.

— რა არის მთავარი ახალგაზრდა სპორტსმენისთვის, რა შეიძლება მივიჩნიოთ წარმატების ნაღდ გარანტიად?

— რა თქმა უნდა, ტექნიკა, თუმცაღა ფართო მნიშვნელობით. რომ იტყვიან, თამაშის გაგება — ზუსტი, დროული პასი, სწორი გაგრძელების სწრაფი, ინტუიტური მოძებნა. ყველაფერ ამას ტალანტი ჰქვია, მაგრამ მხოლოდ ტალანტის ხარჯზეც ძნელია რამის

(დასასრული მე-8 გვ.).

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ
XXVI
ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ
ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ახლა; როცა X და XI ხუთწლედების მიჯნაზე ვდგავართ, მინდა თვალი გადავავლო სოფლად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ზოგიერთ საკითხს. „ლელოს" მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება, თუ როგორ ამთავრებს „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭო X ხუთწლედს და როგორ ეგებება სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

მახსენდება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა, რომელმაც სხვა მრავალ პრობლემებთან ერთად სოფლიდან ახალგაზრდობის მიგრაციის საკითხზეც გაამახვილა ყურადღება. საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამი იყო: **„ჩვენ მეტად გვაფიქრებს სოფლის ახალგაზრდობის სტიქიური მიგრაციის პრობლემა. ისმება საკითხი ამ პროცესის სრული შეწყვეტის შესახებ. საქმე ეხება ამ პროცესის მართვას, იმ მიზეზების აღმოფხვრას, რომლებიც წარმოშობენ მიგრაციას: სოფლის ახალგაზრდობის აზრებისა და მისწრაფებების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მისი სულიერი მოთხოვნილებანი განუზომლად უსწრებს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის რეალურ ზრუნვას. მართლაც, რას აძლევენ ახალგაზრდობას ეგრეთწოდებული კულტურის კერები სოფლად? რესპუბლიკის მეტ წილ სოფლებში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს დაწესებულებები, რომლებსაც კლუბებს უწოდებენ. ისინი მოთავსებულია უხეირო, ფარდალალა, ან შეუფერებელ შენობებში, სადაც საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება „კინოს ჩვენება". არ არის სპორტული ბაზები".**

ამ სიტყვების წარმოთქმის დღიდან თითქმის ხუთი წელი მიიწურა. საინტერესოა, რას მივაღწიეთ დღეისათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკვე ბევრი რამ გაკეთდა. — სოფლად ფართოდ გაიშალა სპორტული ბაზების მშენებლობა და მწყობრში ჩადგა კასპის ჭიდაობის სპორტსკოლის დარბაზი, ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის დარბაზი, ლანჩხუთის სტადიონს პირველი რიგი, ლაგოდეხის სტადიონი, ფოთის საჭადრაკო კლუბი, ქუთაისის საწყლოსნო სადგური, გალის წყალჯომარდობის სადგური და სხვ. 25-მეტრიანი საცურაო აუზები შენდება წალენჯიხაში, წითელწყაროს რაიონის ქვემო ქედის კოლმეურნეობაში, ხოლო ხობში იგება 50-მეტრიანი საცურაო აუზი თავის საჭყუმპალაოთი და სასტუმროთი...

XI ხუთწლედში სპორტული ბაზები აშენდება სიღნაღში, მესტიაში, ლაგოდეხში, ხელვაჩაურში და სხვ. ახლა, ამას დაუმატეთ მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა...

თქმა არ უნდა, რაოდენ დიდია ზემოხსენებული რაიონების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების როლი ამ საშვილიშვილო საქმეში. მშენებლობებში დიდ მატერიალურ დახმარებას გვიწევს საქართველოს პროფსაბჭო, სოფლის მეურნეობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, ამხ. შ. ეცადაშვილის ბრძანებით ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელს დაევალა მარტივი ტიპის მოედნების მოწყობა.

ამავე დროს დიდი ყურადღება ექცეოდა კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. მაგალითად, მარტო წლეულს კვალიფიკაციის ამაღლების საკავშირო სემინარი 80 ფიზკულტურულმა მუშაკმა გაიარა. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ იმ რაიონებში, სადაც სპორტული ბაზები და პირობები შესაძლებლობას გვაძლევდა, შეიქმნა მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების საყრდენი პუნქტები. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. მაგალითად, თუ განვლილ 4 წელიწადში მხოლოდ ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი აღიზარდა, წლეულს ამ წოდებას ხუთი ჩვენი სპორტსმენი შესწვდა. ესენი არიან: საჩხერელი ძალოსანი ა. ჩიტაძე, საგარეჯოელი საჭადრაკო კომპოზიტორი დ. გურგენიძე, თბილისელი ძალოსანი გ. სითათიშვილი, სოხუმელი ტყვიის მსროლელი ა. გოროდიანკინი და თავისუფალი სტილით მოჭიდავე გ. ყურაშვილი. ამას გარდა, წლეულს 40-ის ნაცვლად ჩვენი საზოგადოების 50 წარმომადგენელმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ძალზე გვახარებს ჩვენი ცხენოსნების წარმატებაც — ამას წინათ სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებაში მათ III ადგილი დაიკავეს. ეს სასიხარულოა იმდენად, რამდენადაც უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ჩვენს ცხენოსნებს IX-X ადგილებზე ვხედავდით.

სასიამოვნოა ჩვენი კლასიკური სტილის მოჭიდავეების წარმატებაც, რომლებმაც ამ ასპარეზობაში ყველას აჯობეს.

წლეულს სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობების ჩემპიონები გახდნენ: ფოთელი მოკრივე ი. რევია, ახმეტელი მძლეოსანი ლ. წინწალაშვილი, კლასიკური სტილის მოჭიდავეები, მახარაძელები გ. მაჭარაშვილი, ა. შედარდნაძე და თბილისელი ა. ჭელიძე, თელაველი ძიუდოისტი ვ. ზაზაშვილი და სამბისტი ხ. ხომეზურაშვილი, ბაკურიანელი მოთხილამურეები ქ. წაქაძე და მ. კოზანაშვილი...

ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის პირველობაზე II ადგილები დაიკავეს თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ტ. ბერიამ და ძალოსანმა ა. ჭიტაძემ.

ძალზე გვახარებს ლანჩხუთის „გურიას" ფეხბურთელების პირველ ლიგაში გადასვლა და დამკვიდრება, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეგბისტთა გუნდის „შევარდენის" უმაღლეს ლიგაში მოხვედრა.

რესპუბლიკურ პროფკავშირულ სპარტაკიადაზე ჩვენი საზოგადოების სპორტსმენებმა II ადგილი დაიკავეს ბურევესტნიკელთა შემდეგ, ხოლო სპორტის ცალკეულ სახეობებში — სამბოში, კლასიკურ ჭიდაობაში, ქართულ ჭიდაობაში, ჭადრაკსა და შაშში — ყველას აჯობეს.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ სპორტის ეროვნულ სახეობების განვითარებას, თუმცა ყველა წარმატების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

სამწუხაროდ, ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებები, რაც გამოწვეულია სპეციალისტთა უმრავლესობის კვალიფიკაციის დაბალი დონით, სოფლად სპორტული ბაზების უკმარობით, უკონტროლობით, ენთუზიაზმის გარეშე საქმიანობით. მაგალითად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობის ჩამლამდეც კი მივიდა საქმე.

როცა ენთუზიაზმზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ მესტიელი კომკავშირელების სანაქებო თაოსნობა, რომლებმაც უსასყიდლოდ, საზოგადოებრივ საწყისებზე რაიონში ოთხი ნაგებობა — სპორტული დარბაზები და ახალგაზრდული კლუბები ააშენეს. მათი შემართება გვაიმედებს, რომ ამ დარბაზებში და კლუბებში საინტერესო მუშაობა გაჩაღდება, რაც ხელს შეუწყობს სოფლად ჯანსაღი თაობის აღზრდას, მიგრაციის დამუხრუჭებას...

კარგი იქნება, თუ მესტიელ ახალგაზრდებს სხვა რაიონის კომკავშირელები და ფიზკულტურელებიც მიბაძავენ.

აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრით ხელს შევუწყობთ „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა" პროექტით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებით გადაჭრას. აღნიშნული პროექტი კი, მოგეხსენებათ, დიდ მიზნებს უსახავს ჩვენი სოფლის მშრომელებს.

ი. გოგორიძე,
„კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

ᲛᲘᲖᲐᲜᲘ — ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲐ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების სპარტაკიადა, რომლის შედეგებზე გვესაუბრება სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გვეტაძე:

სულ რაღაც 5 თვე გვაცილებს საკავშირო უნივერსიადას, რომელიც მომავალი წლის მაისიდან ოქტომბრამდე ჩატარდება. ფაქტიურად, ამ შეჯიბრებაში ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში წინა კომპლექსური ტურნირის შემდეგ გაწეული მუშაობა შემოწმდება. საკავშირო უნივერსიადაში მხოლოდ „ბურევესტნიკის" წევრები დაიშვებიან და ნაკრები გუნდები სპორტის 18 სახეობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, სპორტული კლუბების გუნდები კი ძირითადად თამაშებში გამოცდიან ძალებს და მთელ რიგ სხვა სახეობებშიც იასპარეზებენ.

სწორედ ამ საკავშირო სტარტებისთვის ჩვენი ძალების შემოწმებას ისახავდა მიზნად საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების სპარტაკიადა, რომელიც 25 სახეობაში ჩატარდა.

კოლექტივები სიძლიერის მიხედვით 3 ჯგუფად დაიყო. I და III ჯგუფში 3-3 უმაღლესი სასწავლებელი გაერთიანდა, ხოლო II ჯგუფში — რესპუბლიკის დანარჩენი 10 უმაღლესი სასწავლებელი გამოდიოდა.

უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების წლევანდელ სპარტაკიადაზე პირველ ჯგუფში თავი ისახელა საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა და I ადგილი მოიპოვა (7591 ქ), II იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (4876 ქ), ხოლო III ადგილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენები გავიდნენ (3741,5 ქ.).

მეორე ჯგუფში I ადგილზეა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (2648 ქ.), II იყო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი (2421,5 ქ.), III — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი (1938,5 ქ.).

მესამე ჯგუფიდან გამარჯვებული გამოვიდა სამხატვრო აკადემია (1231 ქ.), II — თეატრალური ინსტიტუტი (1039 ქ.), III— სახელმწიფო კონსერვატორია (440 ქ.).

წლევანდელმა სპარტაკიადამ გვიჩვენა, რომ მომავალი მსგავსი სტარტებისათვის ზოგიერთი წესის შეცვლა იქნება საჭირო; კერძოდ, კარგი იქნება თუ I და III ჯგუფში 3-3-ის ნაცვლად 5-5 უმაღლესი სასწავლებელი გაერთიანდება, ხოლო II ჯგუფში, რომელშიც აქამდე 10 უმაღლესი იყო, მხოლოდ 6 იქნება. სპეციალისტთა ასეთი აზრი განსაზღვრა იმ მდგომარეობამ, რომ II ჯგუფის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის გუნდები ისეთ დონეზეა მომზადებული, უყოყმანოდ შეიძლება მათი I ჯგუფში გადაყვანა. ასეთებია მაგალითად: ქუთაისის პოლიტექნიკური, ბათუმის პედაგოგიური და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტები. ამასთანავე, მეორე ჯგუფისთვის შეუფერებელია თბილისის უცხო ენათა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტები. საჭიროა ამ ორი უმაღლესი სასწავლებლის III ჯგუფში გადაყვანა.

სპარტაკიადის განვლილმა ეტაპმა ბევრ კარგ მხარესთან ერთად ნაკლოვანებებიც გამოავლინა, მაგალითად, საგზატკეცილო და ტრეკზე ველორბოლაში მონაწილეობდა მხოლოდ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ორორი გუნდი. აგრეთვე I ჯგუფის სამივე უმაღლესისა და II ჯგუფიდან ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გარდა მშვილდოსნობაში არცერთ უმაღლესს არ მიუღია მონაწილეობა. დასანანია, რომ ზღვისპირა ქალაქების უმაღლესმა სასწავლებლებმა ვერ შეძლეს ნიჩბოსანთა გამოყვანა. კანოეებითა და ბაიდარებით ასპარეზობაში მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტების, ფიზკულტურის ინსტიტუტის, გორის პედინსტიტუტისა და სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივები იბრძოდნენ გამარჯვებისათვის. ძალოსნობაში კი მხოლოდ ოთხმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა...

ძალზე დაბალი შედეგები ჰქონდათ თბილისის პუშკინის სახელობისა და უცხო ენების, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების, სახელმწიფო კონსერვატორიის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, მათ შესახებ ალბათ ცალკე იმსჯელებს „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭო.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების წლევანდელი სპარტაკიადა წინა წლებთან შედარებით მაღალ დონეზე ჩატარდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები (ზოგიერთის გამოკლებით) მზადაა საკავშირო უნივერსიადისთვის.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებულ ზოგიერთ ტურნირს თბილისიც უმასპინძლებს. მაგალითად, აქ გამოვლინდებიან ჩემპიონები წყალბურთსა და ხელბურთში. თბილისშივე ჩატარდება კალათბურთელთა და მოჭადრაკეთა ზონალური შეჯიბრებები.

ᲛᲐᲛᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ კარტინგისტის — რობერტ აკოფოვის სახელი კარგა ხანია გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს....

...ეს ამ 18 წლის წინათ იყო, მაშინ რობერტი თბილისის № 3 საშუალო სკოლის მეორე კლასში სწავლობდა. ილია აკოფოვმა, რომელიც იმ დროს თვითონ ვარჯიშობდა მოტოსპორტში, შვილს საკუთარი ხელით შექმნილი მოტოციკლეტი აჩუქა. რობერტი მალე დაეუფლა მისი მართვის ტექნიკას.

მერე მამამ ბავშვი თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოტოსექციაში მიიყვანა. აქ, ვლადიმერ ბერბერაშვილის ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა თვითონ ააგეს საქართველოში პირველი მიკროავტომობილი — კარტინგი და რობერტის ამპლუაც შეიცვალა.

პირველ სპორტულ ნათლობას ახალი სტარტები მოჰყვა. 9 წლის ყმაწვილი და მამამისი (სხვადასხვა კლასის კარტინგებით) საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. ასე მოხვდა რობერტი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში და მას შემდეგ ამ კოლექტივის უცვლელი წევრია.

მალე უფრო დიდი წარმატებაც მოვიდა: 1966 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე რობერტმა II ადგილი დაიკავა, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი 12-13 წლის ჭაბუკთა შორის ქვეყნის ჩემპიონი გახდა და სსრკ მოზარდთა ნაკრებში ჩაირიცხა.

ახალგაზრდა კარტინგისტის პირველ გამოსვლას სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში „სოციალისტური ქვეყნების მეგობრობის თასზე" დიდი წარმატებები არ მოჰყოლია, სამაგიეროდ ჭაბუკმა იმ სტარტებში ბევრი ნახა და ისწავლა.

...უკან დარჩა საშუალო სკოლის წლები. რობერტი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. საზრუნავმა იმატა, მაგრამ კარტინგი მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ლატვიის ქალაქ რეზეკნეში 100 და 175 კბ სმ-ის მოცულობისძრავიანი კარტინგით რბოლაში რობერტმა ზედიზედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები. შემდგომში კიდევ ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. მერე წარმატება საერთაშორისო სარბიელზეც მოვიდა — შარშანწინ, „სოციალისტური ქვეყნების მეგობრობის თასის" მორიგ გათამაშებაში სსრ კავშირის ნაკრებმა საერთო გუნდური II ადგილი დაიკავა. შარშან კი ჩვენი ქვეყნის ნაკრები ამ თასს დაეუფლა. ამ წარმატებებში დიდია თბილისელი ახალგაზრდა აისორის — რობერტ აკოფოვის წვლილი.

ამ პრიზის წლევანდელ გათამაშებაში, რომელსაც რუმინეთის ქალაქი კლუჟი მასპინძლობდა, მონაწილეობდნენ პოლონეთის, გდრ-ის, უნგრეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. ტურნირი რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. ყველა ეტაპის ჯამში სსრკ ნაკრები კვლავ I ადგილზე გავიდა, პირად ჩათვლაში კი რობერტ აკოფოვი მეორე იყო. ამით მან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

...თბილისის დოსაafის საქალაქო კომიტეტის კარტინგისტთა კლუბ „ოქტომბრის" მწვრთნელი რ. აკოფოვი თავის ცოდნასა და გამოცდილებას დიდი ხალისითა და მონდომებით უზიარებს ჭაბუკ კარტინგისტებს.

ხ. ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲘᲐᲜᲪᲘ.

სურათებზე: მამა და შვილი; რ. აკოფოვი რჩევას აძლევს კლუბ „ოქტომბრის" წევრებს.
ავტორის ფოტოები.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ფინალური შეჯიბრებებით დამთავრდა დუშანბეს ბამბეულის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურული კოლექტივის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 10 სახეობა იყო. ათასობით თანამშრომელი მონაწილეობდა მთ მრავალჭიდში, ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ტყვიის სროლასა და სპორტის სხვა სახეობებში გამართულ ასპარეზობებში. სამასამდე ფიზკულტურელმა შეასრულა მთ კომპლექსის მოთხოვნები ვერცხლისა და ოქროს სამკერდე ნიშანზე.

სპორტული სექციების გვერდით იქმნება ჯანმრთელობის ჯგუფები, რომლებშიც უკვე ასობით მშრომელი გაერთიანდა. ენთუზიასტებმა საკუთარი ძალით მოაწყვეს ძალოსნობის დარბაზი, სასროლეთი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. უკანასკნელ ხანს აქ დელტაპლანერიზმის, პარაშუტისტთა და ალპინიზმის ახალი სექციები გაიხსნა.

(საკდესი).

გულახდილი დიალოგი საბჭოთა კავშირის № 1 ფეხბურთელთან

ჰკითხეთ გულშემატკივარს

დასასრული

მიღწევა, თუ 17-18 წლის ყმაწვილს არა აქვს მამაკაცური ხასიათი. მოკლედ, გაძლების უნარია საჭირო.

ვისაც სპორტსმენობა თავის თავზე გამოუცდია, უთუოდ იცის გაძლების ფასი. სათქმელად იოლია — ამ კაცმა იცის... ამ კაცს შეუძლია... ისეთი რაღაცის გახსენება არის საჭირო, რომ შენც დარწმუნდე და სხვაც დაარწმუნო. ალექსანდრე ჩივაძე. ასჯერ მაინც გინახავს, მინდორზე, ქუჩაში, თვითმფრინავში...

თვითმფრინავშიც... მატჩი ორი საათის წინ დასრულდა. სველებმა, დამძიმებულებმა დატოვეს მინდორი. ახლა სხედან და ყრუ გუგუნში კაცმა არ იცის, რაზე ფიქრობენ. დაღლილი სახეები. ზოგს ჩასთვლემია კიდეც...

ამ მოგონებიდან თბილისელთა სტოპერის სახის გამოცალკევებას ცდილობ. თითქოს ახერხებ კიდეც. მაგრამ მხოლოდ „თითქოს". საოცარია, თერთმეტ კაცს ერთ სახედ აღიქვამ. იქნებ ასეც უნდა იყოს, რადგან არ შეიძლება ერთი სატკივარი, ერთი ფიქრი გქონდეთ, ერთად გიხაროდეთ, გწყინდეთ და ერთი კი არ იყოთ. გუნდი ერთი სახეა. მაინც გინდა ცალკე დაინახო შენი დღევანდელი ნარკვევის გმირი, მაგრამ არაფერი გამოდის, ისევ გუნდის მთლიანი სახე გიტრიალებს თვალწინ — დაღლილი და გახარებული, დაღლილი და ნაღვლიანი, დაღლილი და კმაყოფილი, დაღლილი და...

ათიოდე წლის მუშაობის შემდეგ მფრინავს პენსიაზე გასვლის უფლება ეძლევა — თითო დღე სამად ითვლება ჰაერში.

ფეხბურთელსაც თითქმის ამდენივე უწევს ჰაერში ყოფნა, იმ განსხვავებით, რომ დაჯდომასა და აფრენას შორის მომქანცველი მატჩი აქვს სათამაშო. „მოკლედ, გაძლების უნარია საჭირო".

— წლეულს ზედიზედ 2 დღე არ ვყოფილვარ შინ. მეგობრებს ვერ ვნახულობ, ხანდახან რუსთაველზე გასეირნება ისე მომენატრება ხოლმე...

— რას ფიქრობთ საფეხბურთო უნივერსალიზმზე. საჭიროა თუ არა ის და რა დოზით?

— თანამედროვე ფეხბურთელს შეტევაც უნდა შეეძლოს და დაცვაც. ეს თავისთავად ცხადია, ვინაიდან ამას ითხოვს დღევანდელი ფეხბურთი. მატჩის დროს ხშირად ხდება, როცა მთელი გუნდი უტევს ან პირიქით. პირველ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მცველებმა შეიძლება თქვან, მეორე შემთხვევაში ბევრი იქნება იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ შეასრულებენ ფორვარდები მცველის მოვალეობას. ერთი სიტყვით, უნდა იყო ისეთი, როგორიც გუნდს გამოადგები. ასეთ ფეხბურთს თამაშობენ კიგანი, ყიფიანი, სხვათა შორის არც მარადონა თაკილობს ნახევარმცველისა თუ მცველის მოვალეობის შესრულებას. ეგრეთ წოდებული „თავისი ზონის სპეციალისტების" დრო, ვფიქრობ, წარსულს ჩაბარდა. გუნდებს ახლა ბევრად რთული ამოცანების გადაჭრა უხდებათ.

11 წლისა ვანო შუდრასთან ვარჯიშობდა. 8 წლის შემდეგ ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში ვლადიმერ ელოშვილის ხელმძღვანელობით მეცადინეობს. 1972 წელს სსრ კავშირის ჩემპიონია ჭაბუკთა შორის, 1973 წელს—პრიზიორი. იმავე წელს თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობაში მიიწვიეს.

— მაინც როგორ მოხდა თქვენი საფეხბურთო ნათლობა?

— მეოთხე კლასში ვიყავი. გაკვეთილზე სტუმრები შემოვიდნენ. ვინ იცის ჭადრაკის თამაშიო. რამდენიმემ ხელი ავწიეთ. გაკვეთილების შემდეგ აქა და იქ მოხვალთ და სექციაში ჩაეწერებითო. უფროსების სიტყვა კანონი იყო, ჩვენც მივედით. რა თქმა უნდა, ქუჩაში ფეხბურთის თამაშისთვის თავი არ დაგვინებებია, მაგრამ დაგვინახავდნენ თუ არა უბნელი ბიჭები, „შახმატისტები" მოდიანო. ისევ უფროსმა ბიჭებმა გვიშველეს, ჭადრაკის თამაშში ხელი არ შეგიშლებათ, ფეხბურთშიც ივარჯიშეთო, და შუდრასთან მიგვიყვანეს.

სტუდიის კართან ცნობისმოყვარენი შეგროვებულან, თუმცა, რა გასაკვირია — „ცოცხალი ჩივაძის" ასე ახლოს ნახვა ზოგი გულშემატკივრისთვის არც ისე ჩვეულებრივი ამბავია. ახლა, შენ თვითონაც რომ ყურადღებით ათვალიერებ?! თან ათვალიერებ, თან ნაჩქარევად იწერ პასუხებს და გეჩვენება: ცნობილი ფეხბურთელი და ეს ახალგაზრდა კაცი თითქოსდა დაუახლოვე ერთიმეორეს, თითქოსდა ხორცი შეესხა პორტრეტს. თუმცა, ისიც კარგად იცი, რომ დაშორდებით ერთმანეთს და მაშინვე მიხვდები — საფანელი დაგკლებია, მაინც ძალზე ცოტა იცი ამ ადამიანზე, თითქმის არაფერი. ისევ ეძებ, ისევ იგონებ შეკითხვებს.

— ნახევარმცველი, მერე სტოპერი. როგორ მოხდა ეს ეგრეთ წოდებული გარდასახვა. თვითონ რით ახსნით მცველისთვის ერთობ მაღალ შედეგიანობას.

— იმ მატჩის წინ შოთა ხინჩაგაშვილი დამავდა. ცოტათი ადრე დუბლშემადგენლობაში ვითამაშე სტოპერად, როგორც მითხრეს — კარგადაც. ეს იყო და ეს. შედეგიანობაზე კი მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ფეხბურთელმა დროზე უნდა იგრძნო სად ხარ საჭირო და დაუყოვნებლივ იმოქმედო.

— უფრო კონკრეტულად?

— აი, ერთ-ერთი ვარიანტი: შეტევაზე მოულოდნელად გადასვლისას მეტოქის თავდამსხმელი, რომელიც შენს ზონაში თამაშობს, იშვიათად გამოგყვება. ეს ერთი. რომელიმე თანაგუნდელი შენს ადგილს იკავებს და რადგან ცენტრში მეურვობა ხშირად პერსონალური ხასიათისაა, მოწინააღმდეგის ერთი ნახევარმცველიც იქვე რჩება, შენს საჯარიმოსთან. გამოდის, რომ ფაქტიურად „ზედმეტ მოთამაშედ" იქეცი. აი, ეს შეღავათი, ტაქტიკურმა გადაადგილებამ რომ მოგანიჭა, აუცილებლად უნდა გამოიყენო.

ჩემს თანამოსაუბრეს, ცხადია, არაფერი უთქვამს, რომ ამგვარი „შეღავათების" გამოყენება არც ისე იოლია და ძალზე ცოტას თუ შეუძლია. არაფერი უთქვამს იმაზე, რომ ალღოს გარდა, გოლის გატანის მისწრაფება და ცოდნაც არის საჭირო, რომ ფორვარდობას განსაკუთრებული უნარი და ის გამოცდილება ესაჭიროება, ნახევარმცველად თამაშის დროს რომ შეიძინა თბილისელთა კაპიტანმა. და, რა თქმა უნდა, არც იმას იტყოდა ალექსანდრე ჩივაძე, რის თქმასაც ახლა ვაპირებ: ნიჭმა და შრომამ, უფრო მეტად კი შრომამ, თანდათან, წლების მანძილზე დააგროვა ის, რაც ნამდვილი ოსტატობის უცილობელი ატრიბუტებია, რაც მაღალი კლასის ფეხბურთელად აქცევს ჩვეულებრივ სპორტსმენს.

— ჩვენში ადრე გაუთავებლად დავობდნენ ხან ტექნიკაზე, ხან ტაქტიკაზე, ხან ფიზიკურ მომზადებაზე, ფეხბურთი კი...

— ფეხბურთმა კი კარგა ხანია მიაღწია განვითარების იმ საფეხურს, როცა ამგვარი ლაპარაკი წყლის ნაყვას უფრო ჰგავს. კარგ კოლექტივში (მით უფრო—ქვეყნის ნაკრებში) საუბარი მოთამაშეთა საფეხბურთო ურთიერთობაზე უნდა იყოს. უსაშველოდ ბევრი დრო დაიკარგა ამის გასარკვევად და შედეგიც სავსებით ლოგიკურია.

— ამით თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ პასუხისმგებლობა ჩვენი ფეხბურთის ჩამორჩენაზე მხოლოდ და მხოლოდ სპეციალისტთა კისერზეა?

—ბუნებრივია, არის სხვა წვრილმანი მიზეზებიც, მაგრამ თავი და თავი მაინც მწვრთნელთა არასწორი მუშაობაა. ტალანტების ნაკლებობაზე წუწუნი არა მგონია მართებული იყოს. ხომ ცნობილია, რომ კარგი ფეხბურთელების გარეშე ვერც ერთი მწვრთნელი მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწევს. სწორედ ასეთი ფეხბურთელები ჰყავდა კიევის „დინამოს" 1975 წელს, მაგრამ მას კარგი მწვრთნელიც ჰყავს. არგენტინაში ყოველთვის იყო ტალანტები, მაგრამ მხოლოდ მენოტიმ შეძლო უმაღლესი მიზნის მიღწევა. ჩვენშიც არიან პროგრესულად მოაზროვნე მწვრთნელები — ახალკაცი, ლობანოვსკი, ბაზილევიჩი, აგრეთვე, ბესკოვი. დამეთანხმებით, ძალზე ცოტაა...

— თბილისის „დინამოს" სათამაშო სქემა დღეს და ხვალ...

— დღევანდელ ფეხბურთში გაყინული სქემები აღარ არსებობს, მაგრამ ზოგადი კონტურის მოხაზვა მაინც შეიძლება. ჯერ საყოველთაოდ ცნობილი სქემა მოვიშველიოთ — 4—4—2. თუმცა, ერთი შესწორებით. ერთ-ერთი ცენტრალური ნახევარმცველი (მეტწილად ჭილაია ან სულაქველიძე) ფაქტიურად მეხუთე მცველს თამაშობს. მეორე ცენტრალური ნახევარმცველი (ყიფიანი) გაცილებით წინ არის წაწეული. ასე რომ, უფრო სწორი იქნებოდა 5-5. ერთი კი უნდა ითქვას, ეს ყველაფერი მხოლოდ თეორიულად არსებობს, სინამდვილეში კი სიტუაცია ხან 10 თავდამსხმელს მოითხოვს, ხან 10 მცველს. რომელიმე სქემის აკვიატებაშიც კარგს ვერაფერს ვხედავ. კაცმა ტანისამოსი უნდა მოირგოს. ასევეა სქემაც. ისეთი უნდა შეარჩიო, შენს ფეხბურთელებს გამოადგეს.

— რომელი ფეხბურთის მხარესაა თქვენი სიმპათიები?

— გააჩნია როდის. 1970 წელს ბრაზილიელებისკენ იყო ის სიმპათიები, 1974 წელს — გერმანელებისა და ჰოლანდიელებისკენ, 1978 წელს — არგენტინელებისკენ. სამხრეთ ამერიკა ტექნიკით გხიბლავს, ევროპა — ორგანიზებულობით. იმარჯვებს, ის, ვინც უკეთ შეძლებს ამ ორი ძირითადი კომპონენტის ორგანულად შერწყმას.



• • •

უკვე საათნახევარია რაც ვსაუბრობთ. რაღაც ხელჩასაჭიდი თითქოს გამოიკვეთა კიდეც. „უნდა იყო იქ და ისეთი, როგორიც გუნდს გამოადგები", სიმპათიები? — „როდის, როგორ". ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯერ არ იცი, მაგრამ მინდორზე ნამდვილად ასეთია — მხოლოდ იმას აკეთებს, რაც საჭიროა და მაშინ, როცა საჭიროა. სულ სხვა საქმეა, რომ ამ დროს დახვეწილიც არის, სადაც, პლასტიკურიც. მხოლოდ კარგს ეძებს და პოულობს კიდეც. ეს მართლაც ღირსებაა. მორიგ კითხვას არაფერი აქვს საერთო ფეხბურთთან. პასუხი კი ისეთია, როგორსაც ელოდი:

— მუსიკა? კარგი ყველაფერი კარგია, და თუ საერთოდ მუსიკას პატივს სცემ, არ შეიძლება არ მოგწონდეს. ყოველნაირ მუსიკას არსებობის თანაბარი უფლება აქვს. „ეს მიყვარს, ამას ვერ ვიტან" — გაუგებარი კაცის ნათქვამია. კლასიკურ მუსიკასაც რომ თავი დავანებოთ, აქეთ, მეორე მხარესაც ათასგვარი მიმდინარეობა თუ მიმართულებაა. ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ კაცს „ბითლზებიც" მოწონს, ლუი არმსტრონგიც, აბბა და ოსკარ პიტერსონიც.

ისევ იწერ პასუხს და მაშინვე ჩივაძე-ფეხბურთელსაც ხედავ, თითქოსდა უფრო უკეთ. როგორ იღებს ბურთს, როგორ მიაქვს. თავი აწეული აქვს, მეტოქის კარისკენ დაძრულ თანაგუნდელებს გასცქერის. აი, ამ წამს გენანება კიდეც, რომ ბურთი ახლა სხვასთან გადაინაცვლებს. ყველა საფეხბურთო კანონის მიუხედავად გენანება და ალექსანდრე ჩივაძის — ფეხბურთელისა და მოქალაქის ერთი მთავარი ნიშანიც ამ წამით ხდება საცნაური. მოულოდნელი პასი და ეს ბურთის უბადლო ტარებაცა და რაღაცნაირად ამაყი, პლასტიკური მოძრაობაც ლამაზ მელოდიად რჩება მაყურებლის მეხსიერებაში. ამ მცირე, საფეხბურთო ნოველას ალექსანდრე ჩივაძემ კარგი მწვერვალივით დაუსვა წერტილი, რასაც, სამწუხაროდ, ამ წერილის ავტორი ვერ დაიტრაბახებს, ვინაიდან ისიც ერთი იმ მაყურებელთაგანია, აგრერიგად რომ ენანებათ დინამოელთა კაპიტანთან განშორება.

— მაყურებელი და ფეხბურთელი...

— კარგი მაყურებლობა მარტო სტადიონზე მოსვლა არ არის. თამაშს უნდა კითხულობდე. ზოგჯერ ცენტრიდან მისცემ ბურთს მეკარეს, ტრიბუნაზე კი სტვენაა, არადა სხვა შემთხვევაში ბურთი შეიძლება დაგეკარგა. საერთოდ, სკეპტიკური ურთიერთობის მომხრე არა ვარ. ეს ფეხბურთელებსაც ეხებათ და გულშემატკივრებსაც. სხვათა შორის, ორივემ კარგა ხანია დაიმსახურა და, ასეთი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქში ბოლოსდაბოლოს თავი უნდა მოებას გულშემატკივართა კლუბის საკითხს.

— რა ნაკლს ამჩნევთ საკუთარ თამაშში?

— მე კი ვამჩნევ და კარგადაც ვიცი, მაგრამ არ მინდა ვთქვა. ამას ხუმრობით ვამბობ, თუმცა ნახევარი სიმართლე მაინც არის ამ ხუმრობაში. ეს სიმართლე ჩემი უშუალო მეტოქეებია.

— თქვენ თვითონ ვის დაასახელებდით პირველ ფეხბურთელად?

— რამდენიმეს — ყიფიანს, ბლოხინს, ბესონოვს, ხიდიატულინს.

— პირველი ფეხბურთელობა პოპულარობაა, სახელი, ერთი სიტყვით, ტვირთია. ხელს ხომ არ შეგიშლით თამაშში?

— ეს მართლაც ტვირთია, მაგრამ მისი ზიდვა პიროვნებაზეა დამოკიდებული.

თბილისის „დინამოს" კაპიტნობა და ახლა კი პირველი ფეხბურთელობა, მართლაც მძიმე სატარებელი ტვირთია.

კაპიტანი გუნდის სახე და სარკეა. კაპიტნად ირჩევენ, და უთუოდ იმას, ვისაც ამის შეძლება აქვს. ტრადიციულად ასეა ჩვენს გუნდში: ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, მურთაზ ხურცილავა, მანუჩარ მაჩაიძე... უეჭველად ასეთები იყვნენ ისინიც, ვინც მე მინდორზე არ მინახავს. არ შეიძლება და, ალექსანდრე ჩივაძეს არცა აქვს უფლება სხვანაირი იყოს.

• • •

ხშირად ფეხბურთელის ნიჭსა თუ დამსახურების დასასაბუთებლად ჩვენი თუ უცხოური პრესის ფურცლებზე გამოთქმულ მოსაზრებებს მოვიშველიებთ ხოლმე. ღოღობერიძეს, იამანიძეს, ჩოხელს, რომ იტყვიან, არ ჰქონიათ ამგვარი პრესა. განა სპეციალისტთა ეპითეტები აგროვებდა „იუქნი პრავიზე", მესხის თავგადადებულ ჭომაგებს? რეკლამა — რეკლამად, ჟურნალისტები — ჟურნალისტებად, მაგრამ ნიჭსა და დამსახურებას მაინც თავისი გააქვს, მაინც ჰყავს მას სხვა შემფასებელიც, ალბათ უფრო ალალი და ნაღდი...

ალექსანდრე ჩივაძე? ჰკითხეთ გულშემატკივარს!

ირაკლი ბერიაშვილი.

◆

სურათზე: ა. ჩივაძე მორიგი ორთაბრძოლის შემდეგ.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

● ფეხბურთი

გოლები გააქვთ მეკარეებს

როცა ფეხბურთში მეკარეს უშუალოდ თამაშიდან გააქვს ბურთი მოწინააღმდეგის კარში, ეს უნიკალური მოვლენაა, მაგრამ მსგავსი რამ მაინც ხდება. სტატისტიკოსებს, მაგალითად, აღრიცხული აქვთ გოლი, რომელიც ლენინგრადელმა მეკარემ ზ. შეხტელმა გაიტანა განთქმულ ლ. იაშინის კარში.

ბოლო ხანებში კვლავ მოხდა ასეთი ამბები. ბრაზილიის ქალაქ კასკაველში მიმდინარეობდა პარანას შტატის პირველობის მატჩი. ადგილობრივი „კასკაველის" მეკარე ზიკო დაეუფლა ბურთს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაარტყა მოწინააღმდეგის მხარეს. მეტოქე გუნდის „კოლორადოს" მეკარე წინდაუხედავად გამოვიდა კარიდან, ბურთი მის წინ დაეცა მიწაზე, გადაევლო თავს და ბადეში აღმოჩნდა. ანგარიში გახდა 3:0. მატჩის შემდეგ კორესპონდენტები თავს დაეხვივნენ ზიკოს, მან კი მხოლოდ ეს უპასუხა: „შემთხვევითი მოვლენაა".

იუგოსლავიის ქალაქ ნიშში მიმდინარეობდა ამ ქვეყნის ჩემპიონატის მატჩი „რადნიჩკისა" და „ველეჟს" შორის. „რადნიჩკის" კარს იცავდა პანტელიჩი, „ველეჟისას" — მარიჩი.

პანტელიჩმა, რომელიც ამავე დროს ნაკრების მეკარეცაა, ძლიერად დაარტყა. ბურთი დაეცა მეტოქის ნახევარზე, შემდეგ მეკარის წინ და გავიდა კარში. მარიჩი უძლური იყო, მან აღიარა რომ დაიბნა და ვერას გახდა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

„სესხულობენ" არბიტრებს

შვეიცარიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციებმა მოილაპარაკეს თავიანთი ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში ერთმანეთს შორის გაცვალონ არბიტრები. ასეთივე შეთანხმება დაიდო საფრანგეთისა და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციებს შორის.

გაათავისუფლეს მწვრთნელი

გფრ-ის „ჰამბურგის" საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა იუგოსლაველი ბრანკო ზებეცი.

ყიდიან სტადიონს

შოტლანდიის II ლიგის საფეხბურთო კლუბის „ქუინზ პარკ რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გაყიდოს ცნობილი „ჰამპდენ პარკის" სტადიონი, რომელიც 150.000 მაყურებელს იტევს.

ასენსი მექსიკაში

ესპანეთის „ფკ ბარსელონას" 31 წლის ფეხბურთელმა ხუან მანუელ ასენსმა მექსიკის კლუბის „ფკ პუებლოს" ხელმძღვანელობასთან 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ბანკროტები...

უცხოეთის სპორტულ პრესაში ხშირად წერენ, რომ საფეხბურთო ინდუსტრია დიდ შემოსავალს იძლევა და გამოჩენილი „ვარსკვლავებიც" სოლიდურ ჰონორარს ღებულობენ, მაგრამ იქაური მიმომხილველები, ჩვეულებრივ, გვერდს უვლიან იმას, რომ ბევრი პროფესიული კლუბი უკიდურეს ფინანსურ გაჭირვებას განიცდის, სულს ღაფავს, ხოლო ფეხბურთელები თვეობით არ ღებულობენ გასამრჯელოს.

სამისო მაგალითები კი მრავლადაა. სულ ახლახან ჩრდილოეთ ამერიკის ლიგამ ოფიციალური განცხადება გააკეთა 3 კლუბის გაყიდვის თაობაზე. „ვაშინგტონელმა დიპლომატებმა" 1980 წელს დაახლოებით 5 მილიონი დოლარი ზარალი ნახეს (სხვათა შორის, ამ კლუბთან აქვს კონტრაქტი დადებული ჰოლანდიელ ი. კრუიფს). მეპატრონეებმა გადაწყვიტეს აუქციონის წესით გაყიდონ „ვაშინგტონელი დიპლომატები", ამას გარდა, იყიდება კიდევ 2 კლუბი — „როჯესტერ ლანსერსი" და „ჰიუსტონ ჰარიკეინი".

აი, კიდევ მაგალითი: ჰოლანდიის პროფესიულმა ფეხბურთმა დაახლოებით 35 მილიონი გულდენი ზარალი ნახა, რის თაობაზეც ოფიციალური განცხადება გააკეთა ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ე. ვაილმა. მან თქვა, რომ 37 ჰოლანდიური პროფესიული კლუბიდან მხოლოდ ხუთმა გაართვა თავი ზარალს, სხვათა დებეტი და კრედიტი კი აშკარად უთანაბროა. 5 კლუბი, რომელთა დავალიანება ყველაზე მეტია, გადაიყვანეს მოყვარულთა რიგებში და აუკრძალეს პროფესიონალ ფეხბურთელთა გამოყვანა.

ფეხბურთი ●

● ჭადრაკი

ვულოცავთ!

ერევანში დამთავრდა საბჭოთა სომხეთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო ასპარეზობა ჭადრაკში ქალთა შორის. 13 ქალთან ერთად ძალას ცდიდა ერთი მამაკაცი, ერევნელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ე. მნაცაკანიანი, რომელმაც I ადგილი დაიკავა (9 ქულა). II-IV ადგილები გაინაწილეს ქუთაისელმა თამილა მესხმა, მოსკოველმა ლიუდმილა კულიკოვამ და კალინინგრადელმა ალა გრინფელდმა. მათ 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს. **თამილა მესხმა ოსტატობის წოდების მოპოვებისათვის საჭირო ქულათა რაოდენობას ნახევარი ქულით გადააჭარბა.**

სურათზე: თ. მესხი.

ორი ჩემპიონატი

მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის (ალმა-ათა) მონაწილენი წილისყრით ასე განაწილდნენ: ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ი. ლევიტინა, ე. ბელოვა (ორივე — ლენინგრადი), ტ. მინოგინა, ტ. ზატულოვსკაია, ლ. ზაიცევა (სამივე — მოსკოვი), ლ. სემიონოვა (კიევი), ტ. ქივაევა (ალმა-ათა), გ. სტრუტინსკაია (მოსკოვი), ლ. მუჩნიკი (პერვომაისკი), ზ. ლელჩუკი (ლვოვი), ე. ეპშტეინი (კლაიპედა), ქ. მელაშვილი, ნ. გურიელი (ორივე — თბილისი), მ. ლიტინსკაია (ლვოვი) და ე. ფატალიბეკოვა (მოსკოვი).

პირველი ტურის შედეგებს „ლელო" უკვე იტყობინებოდა. მეორე ტურში კოზლოვსკაიამ წააგო ლევიტინასთან, ლელჩუკმა—სემიონოვასთან. ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები მელაშვილმა—ზატულოვსკაიასთან, ეპშტეინმა — ზაიცევასთან. ფატალიბეკოვა—სტრუტინსკაიას, მუჩნიკ—ქივაევას, გურიელ—მინოგინასა და ლიტინსკაია—ბელოვას პარტიები გადაიდო.

მესამე ტურში გურიელმა მოუგო ზატულოვსკაიას, სტრუტინსკაიამ დაამარცხა მუჩნიკი, სემიონოვამ—ეპშტეინი, კოზლოვამ—ბელოვა, ქივაევამ—ლელჩუკი. ყაიმით დამთავრდა ლევიტინა—ფატალიბეკოვას პარტია. გადაიდო ზაიცევა—მელაშვილისა და მინოგინა—ლიტინსკაიას შეხვედრები.

როგორც ცნობილია, ვაჟთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის შეხვედრები **ვილნიუსში** მიმდინარეობს. აქ მეორე ტურმა ასეთი შედეგები მოგვცა: რომანიშინი და ვაჰანიანი ყაიმზე შეთანხმდნენ, ასევე ყაიმით დამთავრდა ბელიავსკი—დოლმატოვის პირველი ტურის გადადებული პარტია (თამაშის განუახლებლად). დოლმატოვმა მოუგო კუზმინს, ბელიავსკიმ—ლპუტიანს, ქულა გაიყვეს: ჩეხოვმა—ბალაშოვთან, იუსუპოვმა—მაკარიჩევთან, რაშკოვსკიმ — გიორგაძესთან და ფსახისმა—ცეშკოვსკისთან. ორი შეხვედრა გადაიდო.

პირველი ტურის გადადებული პარტია იუსუპოვსა და გიორგაძეს შორის იუსუპოვის გამარჯვებით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ კუზმინი რაშკოვსკისთან და გელერი რაზუვაევთან.

● წყალბურთი

ტაშკენტსა და ბაქოში

დამთავრდა სსრ კავშირის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები.

ბოლოსწინა მატჩში თბილისის დინამოელებმა სძლიეს მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებს — 6:3, ალმაათელმა დინამოელებმა — „მოსკვიჩს" — 10:9, ხოლო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის (სსფ ცსკ) წყალბურთელებმა — მასპინძელთა „მეხნატს" — 8:4.

ბოლო დღეს თბილისელები დამარცხდნენ მატჩში ალმაათელ თანაკლუბელებთან — 9:12.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სსფ ცსკ — ფიზკულტურის ინსტიტუტი 10:6, „მოსკვიჩი" —„მეხნატი" 7:9.

ამრიგად, დაშკენტში დაუმარცხებლად განვლეს მთელი ტური ალმა-ათის დინამოელებმა და 10 ქულა მოაგროვეს.

ბაქოს ჯგუფში ბოლოსწინა შეხვედრები ასე დამთავრდა: „უნივერსიტეტი" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) — 11:10, „დინამო" (მოსკოვი)—„დინამო" (ლვოვი) — 8:5, „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია — 9:11.

პირველი ტურის ბოლო დღეს უნივერსიტეტელებმა სძლიეს „ლოკომოტივს" —10:9, კიევის დინამოელებმა — მოსკოველ თანაკლუბელებს — 11:9, კწფ-მ — ლვოვის „დინამოს" — 11:9.

ბაქოს ქვეჯგუფში დაწინაურდა „უნივერსიტეტი", რომელმაც დაუმარცხებლად განვლო მთელი ტური და 10 ქულა მოაგროვა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა 1965-66 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა რესპუბლიკური შესარჩევი ტურნირი კალათბურთში, რომელშიც თბილისის (2), ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და რუსთავის გუნდები მონაწილეობდნენ.

წარმატებით იასპარეზა თბილისის „ნორჩი დინამოელის" გუნდმა და საკავშირო პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს შეჯიბრება იანვრის პირველ რიცხვებში ნიკოლაევში გაიმართება.

სურათზე: თბილისის „ნორჩი დინამოელი". დგანან (მარცხნიდან) — უფროსი მწვრთნელი ლ. ინწკირველი, გ. პულუზაშვილი, მ. გაბრიჩიძე, დ. გიორგობიანი, დ. ნათელაშვილი, გ. შუბითიძე, სხედან — გ. გიორგაძე, ა. კრავცოვი, გ. ჩხაიძე, ვ. მაისურაძე.

ე. ხუცურაულის ფოტო.

● კალათბურთი

ასპარეზობენ ნორჩები

ამ დღეებში ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა თბილისის მოზარდთა პირველობა. აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ განათლების სამმართველოს სპორტული სკოლის, „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ნორჩი კალათბურთელები. ქალაქის ჩემპიონები სამივე ასაკში (1963-64, 1965-66 და 1967-68) გახდნენ განათლების სამმართველოს სპორტული სკოლის აღსაზრდელები. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ზ. ახობაძე (1968), დ. ზალდასტანიშვილი (1968), ზ. ცაგარეიშვილი (1967), გ. ფუხაშვილი (1967). „დინამოდან" თავი გამოიჩინეს გ. ნათელაშვილმა (1965) და გ. გაბრიჩიძემ (1967).

ჭაბუკებს არც განათლების სამმართველოს სპორტსკოლის გოგონები ჩამორჩნენ და მათაც სამივე ასაკში პირველი ადგილები დაიკავეს. გუნდები არ გამოიყვანეს „განთიადმა" და „სპარტაკმა". „ლოკომოტივი" კი მხოლოდ საშუალო და უმცროსი ასაკის ბავშვებით წარსდგა შეჯიბრებაზე.

ვ. როსტიაშვილი,
სპორტის ოსტატი.

● ციგურაობა

მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე სპრინტერ ქალთა ოთხჭიდში წარმატებას მიაღწია დინამოელმა ლ. მაშკოვცევამ, რომელმაც 168,005 ქულა მოაგროვა. მრავალჭიდელთა შეჯიბრებაში 1000 მეტრზე რბენა მოიგო მისმა თანაგუნდელმა ი. მიხაილოვამ—1.22,65. მეორე ადგილზე გავიდა ნ. პეტრუსევა („ბურევესტნიკი") — 1.22,72. ორივე ეს შედეგი ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს (1.23,01) აღემატება. 5000 მეტრზე შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ო. პლეშკოვამ („სპარტაკი") — 7.50,61. მის გარდა კიდევ ექვსმა სპორტსმენმა გადააჭარბა სსრ კავშირის ძველ რეკორდს. მრავალჭიდში უძლიერესი გახლდათ პეტრუსევა — 175,345 ქულა.

● ფარიკაობა

ალმა-ათაში მიმდინარე მოფარიკავეთა საკავშირო თასის გათამაშებაზე კიდევ ორ სახეობაში დამთავრდა შეჯიბრება. ხმლით ასპარეზობაში თავი გამოიჩინა მონრეალისა და მოსკოვის ოლიმპიადების ჩემპიონმა, მოსკოვის არმიელმა ვ. კროვოპუსკოვმა, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო და თასიც დაისაკუთრა.

მოფარიკავე ქალთა საკავშირო თასს დაეუფლა მოსკოველი ვ. სიდოროვა. მან ეს ჯილდო ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

● ჰოკეი

გფრ-ის რამდენიმე ქალაქში სტარტი აიღო იუნიორ ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატმა. სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველ მატჩში მოუგო ავსტრიის გუნდს — 19:1. ფინელებმა დაამარცხეს ამერიკელები — 8:1. ჩეხოსლოვაკიისა და კანადის გუნდების შეხვედრამ უძლიერესი ვერ გამოავლინა — 3:3. მასპინძლები დამარცხდნენ შვედებთან — 3:7.

შვეიცარიის ქალაქ დავოსში გრძელდება წინასაახალწლო ტრადიციული შეჯიბრება ჰოკეიში — „სპენგლერის თასის" გათამაშება. მოსკოვის „სპარტაკმა" მეორე მატჩი გამართა მასპინძელთა საკლუბო გუნდ „დავოსთან" და გაიმარჯვა — 6:5. სპარტაკელებმა პირველ შეხვედრაში სძლიეს „დიუსელდორფს" (გფრ) — 7:2.

პანორამა

საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად ევროპაში მოგზაურობს. მან გრონინგენში დიდი ანგარიშით 11:0 დაამარცხა ჰოლანდიის ნაკრები.

● ველოსპორტი

ლვოვში გაიხსნა საბჭოთა კავშირში მეორე დახურული ველოტრეკი, რომელიც ადგილობრივ არმიელთა სპორტკლუბს ეკუთვნის. აქ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენებიც ასპარეზობენ — ზამთრის საკავშირო ჩემპიონატის წინ ამოწმებენ ძალებს. სპრინტერთა შორის დაწინაურდა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ს. კოპილოვი (შეიარაღებული ძალები). ჯგუფურ რბოლაში (100 წრეზე 20 საშუალედო ფინიშით) წინ არის დინამოელი ს. ტრიფონოვი — 80 ქულა.

● სათხილამურო სპორტი

კრასნოგორსკში გრძელდება მოთხილამურეთა საკავშირო ტურნირი ადგილობრივი სპორტკლუბ „ზორკის" პრიზებზე. ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბოლაში წარმატებას მიაღწია 21 წლის ნ. შამაკოვამ — 14.57,0, რომელმაც სსრ კავშირის ნაკრების ყველა წევრი ჩამოიტოვა, მათ შორის რ. ხვოროვა („დინამო" — 15.07,0) და საქვეყნოდ აღიარებული გ. კულაკოვა („ტრუდი" — 15.10,58), ისინი IV და V ადგილებზე გავიდნენ.

ვაჟთა შორის კვლავ ისახელა თავი ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის ჩემპიონმა ნ. ზიმიატოვმა (შეიარაღებული ძალები), რომელმაც 30 კილომეტრი 1:17.40,88-ში განვლო და 22 წამით ჩამოიტოვა თანაგუნდელი ა. ზავიალოვი.

● ხელბურთი

წილისყრა შედგა

ბაზელში გაიმართა ევროპის ხელბურთელთა საკლუბო გუნდების თასების გათამაშების მეოთხედფინალური წყვილების წილისყრა. აი, მისი შედეგები:

ვაჟები. ჩემპიონთა თასი. „ვიკინგი" (რეიკიავიკი, ისლანდია) — „ლუგი ლუნდი" (შვეცია); ცსკა (მოსკოვი) — „გროსვალშტადტი" (გფრ); „დუკლა" (პრაღა) — „მაგდებურგი" (გდრ); „ბარსელონა" (ესპანეთი) — „სლოვანი" (ლიუბლიანა, იუგოსლავია).

თასების მფლობელთა თასი. „მინეორი" (ბაია-მარე, რუმინეთი) — ცსკა (სოფია); „ნეტალშტადტი" (გფრ) — „ალიკანტე" (ესპანეთი); „ატლეტიკო" (მადრიდი) — „ემპორი" (როსტოკი, გდრ); „საბაჩი" (იუგოსლავია) — „ელექტრომოსი" (ბუდაპეშტი).

ქალები. ჩემპიონთა თასი. „ოსიეკი" (იუგოსლავია) — „სუდშტადტი" (ავსტრია); „ისკრა" (პარტიზანსკი, ჩსსრ) — ვიფ (სოფია); „სპარტაკი" (კიევი) — „რუხი" (ხოჟუვი, პოლონეთი); სკონგილი (ნორვეგია) — „რადნიჩკი" (ბელგრადი).

თასების მფლობელთა თასი. „ფორვერსტი" (ფრანკფურტი, გდრ) — „სპარტაკუსი" (ბუდაპეშტი); „ირსტა" (შვეიცარია) — პლმ (საფრანგეთი); აია (დანია) — „ბანე სეკულიჩი" (სომბორი, იუგოსლავია); „სპორტისტი" (ბულგარეთი) — „ენტიუსი" (ჰოლანდია).

მეოთხედფინალების პირველი შეხვედრები 12-18 იანვარს ჩატარდება, ხოლო განმეორებითი მატჩები — 19-25 იანვარს.

მხიარული ფანქრით


დინამო!
დინამო!



უსიტყვოდ

ი. ყეინიშვილის
ნახატები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამატერო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 02553